



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 მარტი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 31

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-ს ბალანსზე ქონების გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სრულყოფილი საქმიანობისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ა.ა.ი.პ. „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურს“ გადაეცეს ბალანსიდან-ბალანსზე რეგისტრირებულ კავშირ „ასოციაცია ატუ“-ს მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული სატრანსპორტო საშუალებები და მატერიალური ფასეულობები ღირებულებით 1.722106.16 (მილიონ შვიდასოცდაორიათასასექსი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურებს მოახდინონ გადაცემული ქონების მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი